



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL



ოქთი № 8

„14“

06

2019 წ

დადგენილება № 36

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის
მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 პუნქტების და 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

- დამტკიცდეს „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“ ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
- დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც დაფუძნებულია უნივერსიტეტის რესურსებზე, სათანადო ინდიკატორებსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე.

მეთოდოლოგიის მიზანია, დაეხმაროს უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების სწორად განსაზღვრაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობა და მათი ეფექტიანი განხორციელება.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების ერთწლიან და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებს.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმები

ა) მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ ტენდენციებსა და კრიტერიუმებს:

- მოცემულ პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩარიცხვის მსურველ პირთა შესახებ მონაცემებს;
- მოცემულ პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩარიცხულ სტუდენტთა მონაცემებს;
- მოცემულ პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში სტუდენტთა როგორც შიდა, ისე გარე მობილობის შესახებ მონაცემებს;
- კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ჩატარებულ ბაზრის კვლევებს, რომლებიც ხორციელდება გარკვეული პერიოდულობით, განსაკუთრებით ახალი პროგრამის ინიცირების ან არსებულში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის დროს;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს;

- ადამიანური (აკადემიური /სამეცნიერო /მოწვეული /ადმინისტრაციული პერსონალი), მატერიალური, ფინანსური და საბიბლიოთეკო რესურსებით პროგრამების უზრუნველყოფის მდგომარეობას და ა. შ.

ბ) ახალი პროგრამის შემთხვევაში

- ახალი პროგრამების დაგეგმვის შემთხვევაში გასათვალისწინებელია შრომის ბაზრის კვლევა;
- დამსაქმებლების კვლევა;
- სხვა უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილება;
- პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის უზრუნველყოფა ადამიანური (აკადემიური /სამეცნიერო /მოწვეული /ადმინისტრაციული პერსონალი) რესურსებით.

მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა სწავლების საფეხურების მიხედვით

უნივერსიტეტის პერსპექტივების, მისი სოციალური პასუხისმგებლობისა და გარემო ცვლილებების გათვალისწინებით გამოკვეთილი ტენდენციის შესაბამისად, ყოველწლიურად განისაზღვრება მისაღები კონტიგენტი თითოეული პროგრამის მიხედვით კონკრეტული სასწავლო წლისათვის. კონტიგენტის ფორმირება სწავლების კონკრეტულ საფეხურზე ხასიათდება დამატებითი თავისებურებებით:

ბაკალავრიატში გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისა და/ან მისი ცალკეული კომპონენტის სპეციფიკა;

მაგისტრატურაში გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც იქნებიან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები;

დოქტორანტურაში ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას დოქტორანტების პოტენციურ ხელმძღვანელთა შესაძლებლობა და მზაობა;

ქართულ ენაში მომზადების პროგრამებისათვის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია პროცენტული მაჩვენებლები ბაკალავრიატში კონკრეტული სასწავლო წლისათვის მისაღები კონტიგენტიდან გამომდინარე, კერძოდ, აზერბაიჯანულენოვანთათვის 5%, სომხურენოვანთათვის 5%, აფხაზურენოვანთათვის 1% და ოსურენოვანთათვის 1%.

მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის კონტიგენტი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 აგვისტოს #147/ნ ბრძანებით.

დამატებითი (ე. წ. MINOR) პროგრამებისათვის კონტიგენტის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება ის, რომ თუ ძირითადი პროგრამა არ არის აკრედიტებული, მაშინ დამატებითი პროგრამა არ იქნება შეთავაზებული. თუ დამატებითი პროგრამის მსურველთა რაოდენობა 15 სტუდენტზე ნაკლებია, დამატებითი პროგრამა არ გაიხსნება და შეთავაზებული იქნება სხვა არჩევანი (გამონაკლისი შემთხვევა განიხილება უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების მიერ).

კონკრეტულ პროგრამაზე მობილობით მისაღები სტუდენტების მაჩვენებელი განისაზღვრება პროგრამაზე მისაღები გეგმიური მაჩვენებლიდან, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობიდან და პროგრამაზე სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, კერძოდ, პროგრამაზე მისაღებ გეგმიურ მაჩვენებელს ემატება პროგრამაზე სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობა და აკლდება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა.

მუხლი 4. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის რაოდენობრივი მახასიათებლები

4.1 სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანური (აკადემიური /მოწვეული /ადმინისტრაციული პერსონალი), მატერიალური, ფინანსური და საბიბლიოთეკო რესურსების საკმარისობის პირობებში უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი, სტაბილური, ეფექტური ფუნქციონირება და სტრატეგიული და ტაქტიკური სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანურ (აკადემიური/ მოწვეული /ადმინისტრაციული პერსონალი), მატერიალურ, ფინანსურ და საბიბლიოთეკო რესურსებს გააჩნიათ რაოდენობრივი მახასიათებლები:

4.2 ადამიანური (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი) პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის და თანაფარდობა არ აღემატება 1/20;

ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა კონტიგენტთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/50-ს;

ხელმძღვანელებისა და ბაკალავრების/მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა არ აღემატება 1/5.

4.3 ფინანსური რესურსი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროებია:

სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური;

პროგრამული დაფინანსება;

სტუდენტთა საგრანტო დაფინანსება;

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები;

ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

4.4 მატერიალური რესურსი

მატერიალური რესურსი - 9.00-18.00 სამუშაო საათების განმავლობაში უნდა იძლეოდეს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით სტუდენტთა მომსახურების საშუალებას, რაც გულისხმობს: საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტით (მოდული/სასწავლო კურსი) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიების, ლაბორატორიების, კლინიკების და პრაქტიკის ობიექტებით შეუზღუდავ სარგებლობას (შესაბამისი მემორანდუმების და ხელშეკრულებების საფუძველზე);

მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის;

სპორტული, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებისათვის საჭირო მოედნები, დარბაზები და სხვა სივრცეები - ერთ სტუდენტზე $0,2 \text{ m}^2$.

4.5 საინფორმაციო/საბიბლიოთეკო რესურსი

საბიბლიოთეკო რესურსი - ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა (ბეჭდვითი ან ელექტრონული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, ასევე პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატის სარგებლობის შესაძლებლობით, ასევე ბიბლიოთეკა უნდა მუშაობდეს კვირაში 60 საათი;

ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები;

ასევე საბიბლიოთეკო რესურსების, სპორტული, შემოქმედებითი და სხვა არასააუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობას, კერძოდ: სასწავლო ფართი - ერთ სტუდენტზე მინიმუმ $2,5 \text{ m}^2$;

ფოიები, საპროფესოროები და სხვა თავისუფალი სივრცეები - სასწავლო ფართის 20%;
სარეკრეაციო სივრცე - ღია სივრცის მინიმუმ 10%;

კომპიუტერული ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკასა და საკონსულტაციო სივრცეებში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა - სტუდენტთა რაოდენობის არა უმეტეს 1/15; 4.6 აკადემიური საბჭოს მიერ ყოველწლიურად მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი.

სტუდენტთა საერთო კონტინგენტი განისაზღვრება ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად და არ უნდა აღემატებოდეს 2400-ს. (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 24 თებერვლის #8 გადაწყვეტილებით დადგენილი).

მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

5.1. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.